

## **წარმოგდგენთ ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნებსა და კითხვებს ტყის კოდექსის პროექტთან დაკავშირებით.**

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი კითხვები არ დარჩება პასუხგაუცემელი, ხოლო შენიშვნები და რეკომენდაციები აღქმული იქნება ადექვატურად და კონსტრუქციულად.

### **ზოგადი სახის პრინციპული შენიშვნები**

I. კანონპროექტში რამდენიმე ადგილას ნათქვამია, რომ საქართველოს სატყეო კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს სატყეო პოლიტიკას, თუმცა ეს დოკუმენტი მხოლოდ პროექტია და არ დამტკიცებულა. სანამ იგი არ დამტკიცდება, ახალი კოდექსის პროექტის სრულყოფილი განხილვა შეუძლებელია, ვინაიდან დამტკიცების პროცესში შესაძლებელია შეიცვალოს სატყეო პოლიტიკის გარკვეული ნაწილები. მაგალითად, პოლიტიკის დოკუმენტში, პრობლემური იყო ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებთან დაკავშირებული საკითხები, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონს. ამ შეუსაბამობის გადაწყვეტისათვის კი საჭიროა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება.

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ევროპული ქარტიისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ უფლებამოსილების შემდეგი სახეები: ექსკლუზიური, დელეგირებული და ნებაყოფლობითი. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსების მართვა განეკუთვნება ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. თვითმმართველი ერთეული ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება საქართველოს საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით. სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას თვითმმართველ ერთეულსა და შესაბამის სამსახურებს ზედამხედველობას უწევს კანონით ან შესაბამისი ხელშეკრულებით უფლებამოსილი სახელმწიფო მმართველობის ორგანო. თუ “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ექსკლუზიურად განახორციელებენ მართვას, შეუძლებელია მასზე კონტროლი აწარმოოს სახელმწიფო ორგანომ - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, ჩაიბაროს ანგარიშები, დაამტკიცოს მართვის გეგმები და ა.შ. - როგორც ეს მოცემულია პოლიტიკის დოკუმენტში. თუ ხელისუფლება მაინც გადაწყვეტს, რომ ასეთი სახით უნდა განახორციელოს კონტროლი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებზე, მაშინ უნდა შეიცვალოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” და ტყეების მართვა გადავიდეს ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებულ უფლებამოსილებებში. ამ შემთხვევაში თითოეულ თვითმმართველობასთან ტყის ფართობების გადაცემისას უნდა დაიდოს ხელშეკრულება და მას გამოეყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვისათვის საჭირო თანხა.

II. წარმოდგენილი კოდექსის პროექტში ნაკლებად იგრძნობა “სატყეო პოლიტიკის” დოკუმენტში გამოხატული დამოკიდებულება “სატყეო სამეურვეო საბჭოს” (FSC) სტანდარტების დამკვიდრების თაობაზე. თუ კოდექსი მართლაც შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს სატყეო პოლიტიკის პრინციპებთან, მაშინ უპრიანი იქნება მოხდეს FSC-ის პრინციპებისა და კრიტერიუმების შესაბამისად საქართველოს პირობებისათვის გამოსადეგი ინდიკატორებისა და განმსაზღვრელების შემუშავება და კოდექსის შესაბამის მუხლებში (სალიცენზიო პირობები, საზოგადოების მონაწილეობა, ტყის

დაცვა და ა.შ.) თემატურად ინტეგრირება. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს სატყეო საკითხებთან დაკავშირებული მინისტრთა კონფერენციის (MCPFE) დოკუმენტების რეკომენდაციები.

III. ზოგიერთი აქტუალური საკითხი საერთოდ არ არის ნახსენები ტყის კოდექსში, მაგალითად, რა გაკეთდება ტყის დეგრადაციის ისეთ ძლიერ ფაქტორთან საბრძოლველად, როგორცაა ძოვება სატყეო ფართობებში? საერთოდ არ არის ნახსენები განსახილველ დოკუმენტში ბიომრავალფეროვნების დეგრადაციის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი - უცხო სახეობები და მის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეისათვის მსოფლიოში ეს არის გარემოს დეგრადაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი.

IV. წარმოდგენილი პროექტიდან არ ჩანს ნათლად, რა მექანიზმები იქნება შემოთავაზებული კოდექსით ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, შეეძლება თუ არა სოფელში მცხოვრებ ადამიანს ლეგალურად მოჭრას თუნდაც ვაზის ქიგო, მოიპოვოს პირადი საჭიროებისათვის სამასალე მერქანი? ეს ის საკითხებია, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა გვერდს უვლის და არანაირად არ პასუხობს “ხალხზე ორიენტირებული სამთავრობო პოლიტიკის” მოთხოვნილებებს.

V. წარმოდგენილ დოკუმენტში ზოგიერთი საკითხი დეკლარაციულია და ვერანაირად ვერ პასუხობს კანონის და მითუმეტეს, კოდექსის მოთხოვნებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონის ყველა მოთხოვნას თან უნდა ახლდეს მისი შესრულების მექანიზმი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოთხოვნა ან შეუსრულებელი დარჩება, ან მუდმივი დავის საგანი იქნება მათი შესრულება-შეუსრულებლობის საკითხი. ასეთი ზედაპირული ჩანაწერები ბევრია, მაგალითისთვის, მოთხოვნა “უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეების დაცვა?”, ან “უზრუნველყოს ტყეების ფიზიკური დაცვა და უკანონო ტყით სარგებლობის აღკვეთა”. ასევე დაუშვებელია კანონი არ ახდენდეს “გონივრული ვადის” დეტალიზებას და ა.შ.

VI. სერიოზულ გადამუშავებას საჭიროებს სალიცენზიო პირობები, რომლებიც უნდა განივრცოს და გაიწიროს შესრულების მექანიზმები.

VII. აუცილებელია კოდექსის ტექსტში აისახოს ზოგადი მიმართებები ტყის ქრის წესებთან დაკავშირებით (მაგალითად ქრისათვის დასაშვები ტყის სისშირე, ფერდობის დაქანება და ა.შ.), რაც შემდეგ განივრცობა შესაბამის დებულებაში.

VIII. საზოგადოების ინფორმირებისა და გადანყვეტილებათა მიღების პროცესში მონაწილეობის საკითხები კიდევ უფრო უარესი სახითაა წარმოდგენილი განსახილველ დოკუმენტში, ვიდრე მოქმედ ტყის კოდექსში. იგივე შეიძლება ითქვას ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების შესახებ.

ქვემოთ მუხლების მიხედვით წარმოდგენთ კითხვებსა და შენიშვნებს. სტილისტურ შენიშვნებზე ამ შემთხვევაში ყურადღება არ გავვიმახვილებია, თუმცა აქ მაინც აღვნიშნავთ, რომ განსახილველი დოკუმენტი არ არის თანმიმდევრული, რაც ართულებს მის სრულფასოვან აღქმას.

## **მუხლი 1. მოქმედების სფერო**

1. საქართველოს ტყის კოდექსი ანესრიგებს საქართველოს ტყის ფონდის მდგრად მართვასთან, მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

1) არამდგრად მართვას, სხვა კანონი ანესრიგებს? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს სიტყვა ამ შემთხვევაში ამოსაღებია - კოდექსი უნდა ანესრიგებდეს მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ხოლო ტყეების მართვა რომ მდგრადი მეთოდებით უნდა განხორციელდეს, ეს დანარჩენი ტექსტიდან უნდა იყოს ნათელი.

## **მუხლი 2. სატყეო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები.**

*“საქართველოს სატყეო კანონმდებლობა დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:*

ბ) *გარემოსშემქმნელი, წყალმარეგულირებელი, დაცვითი, სანიტარული, გამაჯანსაღებელი და ტყის სხვა სასარგებლო ფუნქციების შენარჩუნება;*”

2) რომელია ტყეების უსარგებლო ფუნქციები? ხომ არ იგულისხმება, ან უკეთესი ხომ არ იქნება “ბუნებრივი ფუნქციების შენარჩუნება”?

3) პროექტის მე-2 მუხლში მოცემული სატყეო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები სავსებით მისაღებია. კოდექსის სრულად წაკითხვისას მკაფიოდ უნდა ჩანდეს, რომელი მუხლებით არის უზრუნველყოფილი თითოეული ამ პრინციპის შესრულების მექანიზმი. ეს იქნება ინდიკატორი, რომ კანონი კარგად არის დანერგილი.

4) პრინციპები ზოგადად მისაღებია, თუმცა ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაემატოს, რომ კანონმდებლობა ეყრდნობა საქართველოს სატყეო პოლიტიკით, საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიითა და მოქმედებათა გეგმით, ასევე საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით აღიარებულ პრინციპებს (კონკრეტული დოკუმენტების დასახელებით — მაგ., რიოს დოკუმენტი, პანევროპული ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების სტრატეგიის პრინციპები, MCPFE პრინციპები).

## **მუხლი 3. კოდექსში გამოყენებული ტერმინების განმარტება**

5) საიდან არის აღებული ეს ფორმულირებები? განსაკუთრებით: ტყე, საქართველოს ტყის ფონდი, ტყის სუბალპური ზოლი, ჭალის ტყე? კორექტირებას საჭიროებს ზოგიერთი ტერმინი.

## **მუხლი 4. საქართველოს ტყეებზე საკუთრების უფლება**

არ ჩანს მკაფიოდ, რა წესით ხდება საკუთრების ერთი ფორმიდან მეორეში ტყეების გადაყვანა. არ არის სწორი, თუ იგულისხმება, რომ საკუთრების ყველა ფორმის დამკვიდრება, მათ შორის ისეთიც, რომელსაც უშვებს დღევანდელი კანონმდებლობა - ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ტყეები, ამას გარდა საპატრიარქოს და კერძო ტყეები - მომავალი კანონით „ტყეების განსახელმწიფოებრიობის შესახებ“ უნდა მოხდეს. თუ შესაბამისი მუხლები არ ჩაიდო ამ კოდექსში ადგილობრივი მნიშვნელობისა და საპატრიარქოს ტყეებთან დაკავშირებით, სადაც ზოგადი მიმართებები იქნება მოცემული, შეუძლებელი იქნება „ტყეების განსახელმწიფოებრიობის შესახებ“ კანონის შემუშავება. ეს უფრო რთული კანონი იქნება, ვიდრე თავად ტყის კოდექსი.

ამასთანავე, ტერმინების განმარტებაში და სხვა ნაწილებში ტყის ფონდის მართვის უფლებამოსილი პირებში იგულისხმებიან ადგილობრივი თვითმმართველობები, საპატრიარქო და კერძო პირები, თუმცა ამ კოდექსით მათ არ გადაეცემათ ტყის ფონდი. ეს გაურკვევლობას იწვევს წამკითხველში. ფაქტიურად გამოდის, რომ განსახილველი კოდექსი ერთი წლით ანესრიგებს სატყეო ურთიერთობებს და 2009 წლის 1 იანვრიდან ახალი წესები იქნება.

*“1. საქართველოს ტყის ფონდის მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს საპატრიარქო, აგრეთვე კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირი.”*

6) საქართველოს სატყეო პოლიტიკის საზოგადოებისთვის ცნობილ ვერსიაში საკუთრების ეს ფორმა — “კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირი” არ არის აღნიშნული. ნიშნავს თუ არა ეს, რომ იგივე ფრაზა შესულია პოლიტიკის ბოლო ვერსიაში, ან იგეგმება რომ შევა?

### **მუხლი 5. ტყის მესაკუთრის ზოგადი უფლება-მოვალეობები**

1. ტყეების მესაკუთრეების უფლება-მოვალეობებია:

7) გაუგებარია, რომელია უფლება და რომელი მოვალეობა? მაგ., “უზრუნველყოს ტყეების ფიზიკური დაცვა და უკანონო ტყით სარგებლობის აღკვეთა” — ეს უფლებაა თუ ვალდებულება? ან “დ) უზრუნველყოს ტყის აღრიცხვის სამუშაოების ორგანიზება, ტყითსარგებლობის გეგმის შემუშავება და დადგენილი წესით სამინისტროში დასამტკიცებლად წარდგენა” - უფლებაა თუ მოვალეობა? აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს.

8) როგორ და რა მექანიზმით უნდა აღკვეთოს უკანონო ტყით სარგებლობა ლიცენზიის მფლობელმა ან საპატრიარქომ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ კოდექსში ეს მექანიზმი უნდა ჩანდეს, დღევანდელი კანონმდებლობით ეს შეუძლებელია, შესაბამისად, ეს მოთხოვნა შეუსრულებელი იქნება ყოველთვის.

### **მუხლი 6. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში**

*“სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:*

*ა) საქართველოს სატყეო პოლიტიკის განხორციელება;”*

9) როგორ უნდა მოხდეს საქართველოს სატყეო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა, როდესაც იურიდიულად ეს დოკუმენტი არ არსებობს?

*“თ) სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაფინანსება და მათ მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;”*

10) რა იგულისხმება? რომელ ტყეებში? აუცილებლად კორექტირება სჭირდება ამ პუნქტს.

## **მუხლი 8. საქართველოს ტყის ფონდის ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით დაყოფა**

*„საქართველოს ტყის ფონდი მისი ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის მიხედვით იყოფა დაცული ტერიტორიებისა და საექსპლუატაციო ტყის ფონდად“.*

11) როგორ ხდება ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა, ანუ საექსპლუატაციო ტყის ფონდიდან დაცული ტერიტორიების ფონდში გადატანა? სად არის განერილი ეს მექანიზმი?

## **მუხლი 9. საქართველოს ტყის ფონდის დაცული ტერიტორიები და მათი მართვა**

*„1. დაცული ტერიტორიები მოიცავს საქართველოს ტყის ფონდის ფარგლებში არსებულ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ ტერიტორიებს;“*

12) ასეთი ფორმულირებიდან გამომდინარეობს, რომ ტყის ფონდის გარეთ ახალი დაცული ტერიტორიები აღარ შეიქმნება - რაც დაუშვებელია.

13) რატომ არ შეიძლება, რომ დაცული ტერიტორიების მართვის უფლება ასევე ჰქონდეთ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და თვითმმართველობებს?

14) უნდა დაემატოს ერთი პუნქტი და შემოვიდეს „სარეზერვო დაცული ტერიტორიების“ ცნება. პოტენციურ დაცულ ტერიტორიებს, კანონით დაცული ტერიტორიების შექმნამდე უნდა მიენიჭოს ეს სტატუსი და აიკრძალოს მერქნის მოპოვება და ხანგრძლივადიანი სარგებლობის ლიცენზიების გაცემა.

## **მუხლი 10. საქართველოს საექსპლუატაციო ტყის ფონდის დაყოფა**

15) უნდა განისაზღვროს, ეს დაყოფა ერთჯერადი პროცესია, თუ დინამიური?

16) უნდა განიმარტოს, რა დატვირთვა აქვს კატეგორიებად დაყოფას, ამ კანონის რომელი პრინციპების განსახორციელებლად გამოიყენება?

17) უნდა აღინიშნოს, რომ **„არ დაიშვება ტყის სარგებლობა კატეგორიებად დაყოფამდე!“** წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი არ აქვს კატეგორიზაციას. ასეთ კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია ძველი ტყეთმონყობის მასალების საფუძველზეც, თუნდაც რუკებზე არც ისე ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შესაძლებელია მთელი საქართველოს ტყეები დაიყოს კატეგორიებად. კოდექსში უნდა განისაზღვროს კონკრეტული ვადა, რომელშიც მოხდება საქართველოს სატყეო ფონდის დაყოფა კატეგორიებად (მაგალითად, კოდექსის ძალაში შესვლიდან 4 თვის ვადაში). შემდგომში, ტყეთმონყობის მასალების განახლებასთან ერთად, შეიძლება მოხდეს კატეგორიების კორექტირება.

## **მუხლი 11. საქართველოს საექსპლუატაციო ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფის საფუძვლები**

*„2. რეკრეაციული ტყეების კატეგორია ტყეების კურორტოლოგიური, ესთეტიკური, დასვენებითი და ტურისტული სარგებლობის მიზნით ენიჭება კურორტების, აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მიმდებარე საექსპლუატაციო ტყის ფონდს.“*

18) რას ნიშნავს “მიმდებარე საექსპლუატაციო ტყის ფონდი”? როგორ უნდა მოხდეს გამიჯვნა, სადამდე გრძელდება “მიმდებარეობა”?

### **მუხლი 12. საქართველოს საექსპლუატაციო ტყის ფონდის მართვა**

*“3. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდს, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, მართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.”*

19) ეს ჩანაწერი და მხოლოდ ეს ერთი პუნქტი არ არის საკმარისი. მოქმედ კოდექსში უფრო მეტი წერია, მაგრამ ვერ განხორციელდა გადაცემა და მართვა. უფრო მეტი უნდა ჩაინეროს იმისათვის, რომ მომავალი კანონი ან დებულება არ იყოს ამ კოდექსის კონტექსტიდან ამოვარდნილი.

*“3. საეკლესიო ტყეებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, მართავს საქართველოს საპატრიარქო.”*

20) რა უფლებამოსილებებზეა საუბარი და რომელი კანონებით უნდა იხელმძღვანელოს საპატრიარქომ, მაგალითად, თუნდაც დღეისათვის გადაცემულ ტყის ფართობებში?

**ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფისათვის გთავაზობთ განსახილველად ვარიანტს, რომელიც მოცემულია დანართში (იხ. ქვემოთ დანართი 1).**

### **მუხლი 14. საქართველოს ტყის ფონდის საზღვრების დადგენა**

*„4. საქართველოს ტყის ფონდის შემცირებისაკენ მიმართული ქმედებები უნდა იყოს არგუმენტირებული;“*

21) როგორ უნდა მოხდეს ეს არგუმენტაცია, რა მექანიზმს გვთავაზობს კოდექსი, ეს არ ჩანს. რა პირობები უნდა არსებობდეს, რომ ტყის ფონდის შემცირებისკენ მიმართული ქმედებების შესახებ გადაწყვეტილება ჩაითვალოს დასაბუთებულად ან პირიქით, დაუსაბუთებლად? ეს, ფაქტიურად, პრინციპულ შენიშვნათა რიგს მიეკუთვნება. ამ საკითხის წარმოდგენილი სახით დატოვება კორუფციული გარიგებების და ასევე მცდარი გადაწყვეტილებების მიღების რეალურ წინაპირობას ქმნის.

### **მუხლი 15. მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ნარმომადგენელთა საქართველოს ტყის ფონდის მართვაში მონაწილეობა**

22) როგორ იქნება უზრუნველყოფილი ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მოცემული უფლებები, სახელმწიფოს და მართვის უფლების მქონე სუბიექტების მხრიდან რა ვალდებულებებით არის ეს უფლებები გამყარებული?

*„2. საქართველოს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების მიერ ტყითსარგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე გონივრულ გადაში, შესაბამისი რეგონების მიხედვით, უნდა გამოიქვეყნდეს საქართველოს ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:*

ა) აღრიცხვის მასალების შესახებ;

- ბ) საქართველოს ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფისა და კატეგორიის ცვლილების შესახებ;  
 დ) საქართველოს ტყის ფონდის სარგებლობისათვის გადაცემის შესახებ“

- 23) რა მიზანს ემსახურება ამ ინფორმაციის გამოქვეყნება? გამოქვეყნების შემდეგ როგორ უნდა მოახდინოს გავლენა დაინტერესებულმა საზოგადოებამ გადანყვეტილების მიღებაზე? რითი არის უზრუნველყოფილი საზოგადოების ეს უფლება? როგორია გამოქვეყნების წესი?
- 24) რა იგულისხმება “გონივრულ ვადა“-ში? ვინ განსაზღვრავს მოცემული ვადა გონივრულია თუ არა და რა მექანიზმით? კანონში უნდა განისაზღვროს კონკრეტული ვადა, რასაც მოითხოვს ჩვენი კანონმდებლობაც.
- 25) უნდა მოახდინონ თუ არა შესაბამისი გადანყვეტილების მიღებამდე დაინტერესებული საზოგადოების და მოსახლეობის შენიშვნებისა და წინადადებების განხილვა?

**მოსახლეობისა და საზოგადოების წარმომადგენლების უფლება აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ვალდებულებებით მართვის უფლების მქონე სუბიექტების მხრიდან. უნდა დაემატოს მუხლი: საქართველოს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოების ვალდებულებები**

სასურველია, რომ ეს ნაწილი - საზოგადოების მონაწილეობის შესახებ, გადავიდეს კოდექსის ბოლო ნაწილში, მას შემდეგ, რაც დეტალიზებული იქნება, საკუთრების ფორმები, მართვის ფორმები, ლიცენზირების წესი და ა.შ. ეს თავი უფრო ვრცელი გახდეს. კოდექსში აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული, რას ნიშნავს სრული და დროული ინფორმაცია; რას ნიშნავს გამოქვეყნება, სად უნდა გამოქვეყნდეს, რა ინფორმაცია ექვემდებარება გამოქვეყნებას სპეციალური მოთხოვნის გარეშე, რა პერიოდულობით (მაგ. 2006 წელს გამოქვეყნდა სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ყოველწლიური სტატისტიკური ბროშურა); როგორია საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმი გადანყვეტილების მიღებისას. ზოგადი განსაზღვრების დონეზე საზოგადოების მონაწილეობის საკითხები ისედაც არსებობს ბიომრავალფეროვნების და ორპუსის კონვენციებში და შესაბამისად, სავალდებულოა შესასრულებლად. სხვა საქმეა, რომ ძნელება მათი შესრულება, ვინაიდან ეროვნულ კანონმდებლობაში, მათ შორის მოქმედ კოდექსში, არ არის პროცედურები განერილი. თუ ზუსტად არ გაიწერა ახალ კოდექსში, ეს არ იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, ხოლო თუ საერთოდ არ გაიწერა და იმ დონეზე დარჩა, რაც წარმოდგენილ პროექტშია, როცა საზოგადოების უფლებები არ არის გამყარებული შესაბამისი ვალდებულებებით სახელმწიფოს მხრიდან, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა კონვენციებთან. შეიძლება ცალკე დებულებაც შეიქმნას ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ კოდექსით მაინც უნდა განისაზღვროს ძირითადი პრინციპები და პროცედურები.

**მუხლი 16. საქართველოს ტყის ფონდის მოვლა**

*ტყის მოვლა არის ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია ტყის მდგრადი, მალაპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება, სასარგებლო თვისებებისა და ტყის მდგომარეობის გაუმჯობესება.*

- 26) რა იგულისხმება „ტყის სასარგებლო თვისებებისა და ტყის მდგომარეობის გაუმჯობესება“-ში? ხომ არ ეწინააღმდეგება მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს? რომელია უსარგებლო თვისებები?

### **მუხლი 17. საქართველოს ტყის ფონდის დაცვა**

27) რა მექანიზმებია ჩადებული დაცვისათვის? რას ნიშნავს „ტყის მდგომარეობის გაუარესებისაგან დაცვა“?

### **მუხლი 18. საქართველოს ტყის ფონდის აღდგენა**

*„საქართველოს ტყის ფონდის აღდგენა არის ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია ტყის ფონდის ტყით დაუფარავ ფართობებზე ტყის გაშენება და დაბალი სიხშირის კორომებში ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა“*

28) რისთვისაა საჭირო „ტყით დაუფარავ ფართობებზე ტყის გაშენება“? როგორ უნდა მოხდეს ამ საჭიროების დასაბუთება?

### **მუხლი 20. საქართველოს ტყის ფონდის აღრიცხვა**

29) რა იგულისხმება ამ ტერმინში, ეს იგივეა, რაც ტყეთმონყობა ან ინვენტარიზაცია? კანონპროექტის ზოგიერთ ადგილას ტერმინი ტყეთმონყობაც არის გამოყენებული.

*„1. ტყის აღრიცხვის ობიექტს წარმოადგენს ტყის ფონდის გარკვეული ნაწილი“.*

30) რას ნიშნავს ეს „გარკვეული ნაწილი“?

*«2. ტყის აღრიცხვის მიზანია საქართველოს ტყის ფონდის მოვლის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელებისა და ტყის რესურსების გამოყენების დაგეგმვა».*

31) იგულისხმება, თუ არა გამოყენების დაგეგმვაში მოპოვების კვოტების დადგენა? ეს ნათლად უნდა განისაზღვროს.

### **მუხლი 21. ტყითსარგებლობის გეგმა**

32) ვინ შეიმუშავებს სახელმწიფო ტყის გეგმას და რამდენად რეალისტურია, რომ დეპარტამენტმა შეიმუშაოს გეგმა 2 მილიონ ჰექტარ სატყეო მიწებზე? ლიცენზიის გაცემამდე შეიმუშავებული გეგმების ინტეგრირება მოხდება სალიცენზიო პირობებში? რა სახით?

*„ტყითსარგებლობის გეგმა ექვემდებარება ექსპერტიზას და ამტკიცებს მინისტრი“.*

33) რა ნორმატიული აქტით და რა წესით უნდა ჩატარდეს ეს ექსპერტიზა? ეს ძალიან ბუნდოვანია.

### **მუხლი 22. ტყითსარგებლობის სახეები**

34) ბუნდოვანია, ტყითსარგებლობის რომელ სახეზე, რა სანებართვო დოკუმენტი გაიცემა. ეს ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია კოდექსში. ჩვენი აზრით, შეუსაბამობაა ტყითსარგებლობის სახეებსა და სანებართვო დოკუმენტაციებს შორის. ეს საკითხი ალბათ ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს. გთავაზობთ განსახილველად ვარიანტს, რომელიც მოცემულია დანართში. მისი მიხედვით არ იქნება რეკრეაციული

სარგებლობის ლიცენზია, გადაკეთებულია 22, გაერთიანებულია, 23 და 42 მუხლების შინაარსი (იხ. დანართი 2).

#### **მუხლი 24. რეკრეაციული მეურნეობის წარმოება**

35) გაუგებარია, როგორ მოხდება სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით ლიცენზიის გაცემა, როგორ დაითვლება აუქციონის საწყისი ფასი და ა.შ.

#### **მუხლი 25. პლანტაციური მეურნეობის წარმოება**

*«სატყეო პლანტაციური მეურნეობა არის გრძელვადიანი ტყით სარგებლობა და გულისხმობს ტყით დაუფარავ ტერიტორიაზე ტყის რესურსების გაშენებას და მოპოვებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.»*

36) თუ ტყით დაუფარავ ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას, ტყითსარგებლობა როგორ იქნება? იგულისხმება, რომ ცარიელ ადგილას თუ შექმნა ადამიანმა პლანტაციური მეურნეობა, შემდეგ უნდა გადაიყვანოს ტყის ფონდში და ისე განახორციელოს სარგებლობა?

37) რა სახეობებისგან უნდა იყოს შემდგარი პლანტაციური მეურნეობა, რომ ის ჩაითვალოს სატყეო პლანტაციად და არა სასოფლო-სამეურნეო პლანტაციად?

38) შესაძლებელია თუ არა ტყის ფონდში სასოფლო-სამეურნეო პლანტაციის, მაგ. თხილის პლანტაციის გაშენება? კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, რა სახეობები იქნება დაშვებული პლანტაციურ მეურნეობაში.

#### **მუხლი 26. ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტების და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა**

39) რა სანებართვო დოკუმენტაცია გაიცემა, რა მექანიზმით და შეიძლება თუ არა, რომ ეს განხორციელდეს სამრეწველო მიზნით?

#### **მუხლი 28. ტყითსარგებლობის ვადები**

*საქართველოს ტყის ფონდი ტყითსარგებლობისათვის გაიცემა 50 წლამდე ვადით.*

40) იარსებებს თუ არა ტყითსარგებლობის ზოგიერთ სახეზე მინიმალურად დასაშვები ვადა? წესით უნდა იყოს, მაგალითად არსებულ კანონმდებლობაში სამონადირეო მეურნეობის წარმოებისათვის არსებობს მინიმალური ვადა 10 წელი.

#### **მუხლი 31. ტყითსარგებლობა წყალდაცვით ზოლში**

*«ტყითსარგებლობა წყალდაცვით ზოლში ხორციელდება ამ კოდექსისა და "წყლის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით»*

41) დასაზუსტებელია, რას გულისხმობს ეს მოთხოვნები? მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მზადდება ახალი კანონპროექტი წყლის შესახებ.

**მუხლი 35. საქართველოს ტყის ფონდის სპეციალური მიზნებისათვის გამოყენების სახეები**

42) არ ჩანს რა დოკუმენტები და პროცედურაა საჭირო ამ მიზნით გამოყენების უფლების მოსაპოვებლად?

**მუხლი 36. საქართველოს ტყის ფონდის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით გამოყენება**

„1. სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დანესებულებას სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობის უფლება ენიჭება მხოლოდ სამეცნიერო მიზნების განსახორციელებლად“.

43) აქვს უფლება, თუ არა სასწავლო დანესებულებას, თავისი წესდების შესაბამისად, ტყის ფონდით ისარგებლოს მაგ., სარეკრეაციო მიზნით? ან სპორტული მიზნით?

**მუხლი 37. საქართველოს ტყის ფონდის მიჩენის მიზნით გამოყენება**

44) რა დოკუმენტები და პროცედურაა საჭირო მიჩენის უფლების მოსაპოვებლად? ეს პროცედურა უნდა აღინეროს.

**მუხლი 40. ტყის რესურსებით მიზნობრივი სარგებლობა**

“2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტყით სარგებლობის სახეებით ცალ-ცალკე სარგებლობა ხორციელდება მიზნობრივი პროექტების საფუძველზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.”

45) როგორ იზომება, მნიშვნელოვანია თუ არა ეკონომიკური სარგებელი და ვისთვის უნდა იყოს მნიშვნელოვანი - სახელმწიფოსთვის თუ კერძო პირისთვის?

**მუხლი 42. ტყითსარგებლობის ლიცენზირება**

46) ხე-ტყის დამზადების ლიცენზია უქმდება?

47) თუ ინვესტორს აქვს სურვილი რომ გააკეთოს სამონადირეო მეურნეობა ტბაზე, ან ნახევარუდაბნოში, ანუ ტყის ფონდის გარეთ, რა სახის ლიცენზია უნდა აიღოს ამისათვის?

48) 42-ე მუხლის, მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიცენზია უკეთესი ხომ არ იქნება, რომ დაიყოს შინაარსობრივად?

49) რატომ არის მიჩნეული კანონპროექტში, რომ ტყის მეორეხარისხოვანი მასალების შეგროვება რეკრეაციული საქმიანობაა?

50) რა იგულისხმება 42-ე მუხლის, მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით? პირადი საჭიროებებისთვის სამასალე მერქნის მოპოვება შეუძლია თუ არა მოსახლეობას? თუ შეუძლია, რა პროცედურებს გვთავაზობს ახალი კოდექსი?

51) რა მექანიზმს გვთავაზობს ახალი კოდექსი სათბობი შეშით მომარაგებისათვის, რომელიც სპეციალურ ჭრებს განეკუთვნება?

52) რა მექანიზმებს გვთავაზობს კოდექსი ადგილობრივი მოსახლეობის პირველადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად — შეშის გარდა? მაგ. შეეძლება თუ არ სოფელში მცხოვრებ ადამიანს ლეგალურად მოჭრას ვაზის ქიგო? მოიპოვოს პირადი საჭიროებისათვის სამასალე მერქანი?

#### **მუხლი 44. ზოგადი სალიცენზიო პირობები**

53) როგორ უნდა დაიცვას ლიცენზიანტმა ტყის ფონდის ტერიტორია, რა მექანიზმს გვთავაზობს ამისათვის ახალი ტყის კოდექსი?

54) იქნება თუ არა განერილი შესაბამის დებულებაში 44-ე მუხლის პირველი პუნქტის “კ” ქვეპუნქტის შესასრულებელი პროცედურა? - “უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების დაცვა”

55) როგორ აქვთ წარმოდგენილი პროექტის ავტორებს 42-ე მუხლის პირველი პუნქტის “კ” ქვეპუნქტის შესრულების მექანიზმი? - “უზრუნველყოს მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეების დაცვა?”

56) გაუგებარია 44-ე მუხლის პირველი პუნქტის “ლ” ქვეპუნქტი რომელი ლიცენზიის დროს გამოიყენება. მაგ. მერქნის დამზადების დროს როგორ უნდა დაიცვა ეს წესი - არ დაუშვას ხის წვეროების ნაჭრა?

#### **მუხლი 46.**

57) რას ნიშნავს “არ არღვევს ტერიტორიის ბუნებრივ საზღვრებს?”

58) რატომ უნდა აწარმოოს ცხოველების კვოტების დადგენა იმან, ვინც რეკრეაციული სარგებლობის ლიცენზიას აიღებს სპორტული მიზნით?”

#### **მუხლი 47.**

59) რამდენად გათვალისწინებულია CITES-ის მოთხოვნები, რომლებიც კრძალავენ ბუნებაში მოპოვებული თეთრყვავილას ბოლქვებითა და ყოჩივარდას გორგლებით ვაჭრობას?

60) რა სახით უნდა მოხდეს ლიცენზიანტისა და სამინისტროს შორის შეთანხმება სპეციალური ფორმის ტანსაცმელზე? შეთანხმება ნიშნავს, რომ დიზაინზე შეუთანხმდეს და ა.შ. ალბათ უნდა ეწეროს, რომ “ატაროს სპეციალური ფორმის ტანსაცმელი, რის შესახებაც ინფორმაციას აწოდებს სამინისტროს”.

#### **მუხლი 50.**

61) ნარჩუნდება თუ არა მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მართვის გეგმის დამტკიცებამდე არ შეიძლება ლიცენზიის გასხვისება?

#### **მუხლი 51.**

62) 51-ე მუხლის, პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტიდან გამომდინარე, რას გვთავაზობენ ავტორები იმ შემთხვევაში, თუ ხანგრძლივადიანი ლიცენზიის გაცემისას არასწორად იქნა დათვლილი მოპოვების კვოტები?

63) გაუგებარია რა მოთხოვნები იგულისხმება 51-ე მუხლის, პირველი პუნქტის “დ” ქვეპუნქტში

**მუხლი 54. ლიცენზიის გაუქმების პირობები**

64) აქვს თუ არა მნიშვნელობა ლიცენზიის გაუქმებისათვის გარემოსდაცვითი კანონდებლობის დარღვევის სიმძიმეს? თუ აქვს, როგორ იზომება? როდის არის საკმარისი ლიცენზიის გაუქმებისათვის 3-ჯერ დარღვევა და როდის მეტი სჭირდება? მაგ., ლიცენზიანტს მოეთხოვება ჩაატაროს ტყის სრული აღრიცხვა და არ გააკეთა. ეს ერთი დარღვევაა, მაგრამ მნიშვნელოვანი და ლიცენზია ან უნდა შეჩერდეს, ან ჩამოერთვას.

**სალიცენზიო პირობები დამატებით სერიოზულ მუშაობას საჭიროებს. ძალიან ზოგადია და ვერ უზრუნველყოფს ტყეების დაცვასა და მდგრად გამოყენებას. ზოგიერთი ნაწილი აფრიკის ქვეყნების რეგულაციებს მოგვაგონებს.**

**მუხლი 59. ტყის დაცვის მუშაკის უფლებები**

65) რა უფლებები აქვს ტყის დაცვის მუშაკს სამსახურეობრივი იარაღის გამოსაყენებლად? რატომ არ შეიძლება მისი უფლებები ისევე გაიწიროს ამ კანონში, როგორც გარემოს დაცვის სამსახურის მუშაკის შემთხვევაშია?

**მუხლი 64.**

66) თუ ქრამი დაუნიშნავი ხეები უკანონოდ მოიჭრება ლიცენზიანტის ტერიტორიაზე გარეშე პირის მიერ, ვინ იქნება დაზარალებული პირი?

## **დანართი 1. - ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფისათვის**

### **მუხლი 8. საქართველოს ტყის ფონდის ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით დაყოფა**

1. საქართველოს ტყის ფონდი მისი ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული, ისტორიული და ეკონომიკური მნიშვნელობის მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ა) დაცული ტყეები;
- ბ) დაცვითი ტყეები;
- გ) რეკრეაციული ტყეები;
- დ) საექსპლუატაციო ტყეები.

2. არ დაიშვება ტყითსარგებლობა კონკრეტული ტყის ფართობისათვის კატეგორიის მინიჭებამდე.

3. საქართველოს ტყის ფონდის კატეგორიზაცია უნდა დასრულდეს ამ კანონის ძალაში შესვლიდან 4 თვის ვადაში, რაც მტკიცდება პრეზიდენტის ბრძანებულებით/ან მთავრობის დადგენილებით.

4. ტყის აღრიცხვის მასალების განახლების შემდგომ შესაძლებელია ტყის ფონდის კატეგორიის ცვლილება.

### **მუხლი 9. საქართველოს ტყის ფონდის კატეგორიებად დაყოფის საფუძვლები**

1. დაცული ტყეები მოიცავენ საქართველოს დაცული ტერიტორიებში არსებული ტყის ფონდის ტყეებს და სარეზერვო დაცული ტერიტორიების ტყეებს.

2. საქართველოს ტყის ფონდში არსებული დაცული ტერიტორიების კატეგორიები განისაზღვრება „დაცული ტერიტორიების სისტემების შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. სარეზერვო დაცული ტერიტორიების ტყის ფონდში შედის პერსპექტიული / პოტენციური დაცული ტერიტორიები, რომლებიც მოიცავს მაღალი კონსერვაციული ღირებულების უბნებს, ენდემებს, რელიქტებს, ხელუხლებელ და დიდი ხნოვანების ტყეებს და თავისი პარამეტრებით აკმაყოფილებს დაცული ტერიტორიის შექმნისათვის საჭირო კრიტერიუმებს.

4. სარეზერვო დაცული ტერიტორიების სტატუსი ენიჭებათ საქართველოს ტყის ფონდში შემავალ ტერიტორიებს, ამ ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების კანონმდებლობის მიხედვით შექმნამდე.

5. სარეზერვო დაცულ ტერიტორიებზე აკრძალულია მერქნის მოპოვება და ხანგრძლივადიანი სარგებლობის ლიცენზიების გაცემა.

6. დაცვითი ტყეების კატეგორია ენიჭებათ სუბალპური ზონის ტყეებს, ჭალის ტყეებს, წყალდაცვით ტყეებს, ნიადაგდაცვით, სასმელი წყლის სათავეების მიმდებარე ტყეებს, სახელმწიფო დაცვით ტყის ზოლებს, დაცვით ზოლებს რკინიგზისა და ავტომაგისტრალების გასწვრივ, აგრეთვე განსაკუთრებული ღირსების მქონე უბნებს.

7. რეკრეაციული ტყეების კატეგორია ტყეების კურორტოლოგიური, ესთეტიკური, დასვენებითი და ტურისტული სარგებლობის მიზნით ენიჭება კურორტების, აგრეთვე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მიმდებარე საექსპლუატაციო ტყის ფონდს.  
*[უნდა განისაზღვროს რას ნიშნავს მიმდებარე]*

8. საექსპლუატაციო ტყეების კატეგორია ენიჭება საექსპლუატაციო ტყის ფონდის იმ ნაწილს, სადაც დაიშვება ყველა სახის ტყითსარგებლობა.

9. დაცვით, რეკრეაციულ და საექსპლუატაციო ტყეებში შეიძლება გამოიყოს განსაკუთრებული/მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე უბნები.

10. განსაკუთრებული კონსერვაციული ღირებულების მქონე უბნები, მიუხედავად საკუთრების და მართვის ფორმისა ექვემდებარებიან დაცვას, აკრძალულია ამ ტერიტორიებზე მერქნის მოპოვება, გზების გაყვანა და ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

11. დებულებას „საქართველოს ტყის ფონდის კატეგორიების შესახებ“ ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

*[ამ მუხლში და შემოაღნიშნულ დებულებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს MCPFE რეკომენდაციები.]*

მუხლი 10. ტყეების მართვა

ა) დაცული ტყეები; - იმართება სამინისტროს მიერ (ჩვენის აზრით, ავტონომიებსაც უნდა ჰქონდეთ დაცული ტერიტორიების მართვის უფლება, მაგრამ ეს მხოლოდ ტყის კოდექსის პრეროგატივა არ არის და პოლიტიკური გადაწყვეტილებაა საჭირო)

ბ) დაცვითი ტყეები; - შეიძლება იმართებოდეს სამინისტროს, საპატრიარქოს, ადგილობრივი თვითმმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკების მიერ

გ) რეკრეაციული ტყეები - შეიძლება იმართებოდეს სამინისტროს, საპატრიარქოს, ადგილობრივი თვითმმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკების მიერ;

დ) საექსპლუატაციო ტყეები - შეიძლება იმართებოდეს სამინისტროს, საპატრიარქოს, ადგილობრივი თვითმმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკების მიერ.

## დანართი 2. ტყითსარგებლობის საკითხები

### მუხლი 22. ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობები

#### 1. ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობებია:

- ა) მერქნული რესურსით სარგებლობა;
- ბ) სამონადირეო მეურნეობის წარმოება;
- გ) პლანტაციური მეურნეობის წარმოება;
- დ) ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა;
- ე) ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა;
- ვ) დაშვებულია საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე რეკრეაციული, საკურორტო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით საქმიანობა.

### მუხლი 23. ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების სანებართვო დოკუმენტაცია

1. მერქნული რესურსით სარგებლობისათვის გაიცემა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია;
2. სამონადირეო მეურნეობის წარმოებისათვის - სამონადირეო მეურნეობის წარმოების სპეციალური ლიცენზია;
3. პლანტაციური მეურნეობის წარმოებისათვის - გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
4. სამრეწველო მიზნით ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობის, ასევე ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისათვის გაიცემა - ამავე დასახელების სპეციალური ნებართვები - ეს საკითხი შემდგომ განხილვას საჭიროებს.
5. საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე რეკრეაციული, საკურორტო, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით საქმიანობისათვის გაიცემა მშენებლობის ნებართვა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩის დამზადებისათვის გაიცემა „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩის დამზადების ლიცენზია“.
7. შესაძლებელია გაიცეს ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია, რომლითაც დაშვებული იქნება ერთდროულად რამდენიმე სახის საქმიანობის წარმოება.
8. დაუშვებელია საქართველოს ტყის ფონდის ერთსა და იმავე ადგილას ერთზე მეტი ლიცენზიის გაცემა.
9. ლიცენზირებას არ საჭიროებს:
  - ა) მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის ტყის რესურსით დაკმაყოფილება;

- ბ) ხე-ტყის ჭრა სპეციალური დანიშნულებით ტყით სარგებლობის განხორციელებისას;
- გ) საქართველოს ტყის ფონდის სპეციალური მიზნებისათვის გამოყენება.

ექსპორტის მიზნით CITES-ის დანართებში შესული სახეობების ლიცენზია - ტყის კოდექსში ამ ლიცენზიის ჩადება სადავო საკითხია, ვინაიდან CITES-ის მიხედვით აკრძალულია ბუნებაში მოპოვებულის ექსპორტი. თანაც ამ შინაარსის ლიცენზია ისედაც არსებობს მოქმედი კანონმდებლობით.

#### **მუხლი 25. პლანტაციური მეურნეობის წარმოება**

1. სატყეო პლანტაციური მეურნეობა არის გრძელვადიანი საქმიანობა და გულისხმობს ტყით დაუფარავ ტერიტორიაზე ტყის რესურსების გაშენებას და მოპოვებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სატყეო პლანტაციურ მეურნეობაში დაშვებული სახეობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წითელი წიგნის კომისიასთან შეთანხმებით.

#### **მუხლი 29. ხე-ტყის გადაზიდვის აღრიცხვა-სისტემატიზაცია**

1. საქართველოს ტყის ფონდის ტერიტორიაზე ამ კოდექსის მოთხოვნათა დაცვით დამზადებული მერქნული რესურსის ტყიდან გამოტანისას ტყის მართვის უფლების მქონე პირის მიერ გაიცემა ხე-ტყის გადაზიდვის დოკუმენტი.
2. დებულებას “ხე-ტყის გადაზიდვის დოკუმენტის გაცემისა და ხე-ტყის გადაზიდვის აღრიცხვა-სისტემატიზაციის წესის შესახებ” შეიმუშავენ და ამტკიცებს სამინისტრო.

*შენიშვნა - აღნიშნულ დანართებში ზოგიერთი ფორმულირება აღებულია განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტიდან და შესაძლებელია შეიცვალოს.*